

**2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრში
ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე
აბიტურიენტებისა და მაგისტრანტობის კანდიდატების მიღების ეტაპები, ვადები და
წარმოსადგენი დოკუმენტები**

ეტაპი	ვადა/თარიღი	განმარტება
I	13.02.2023 ჩათვლით	<p>აბიტურიენტები და მაგისტრანტობის კანდიდატები რეგისტრაციის მიზნით უნდა გამოცხადდნენ ბტუ-ში, განცხადებით (ივსება ბტუ-ში) მიმართონ ბტუს რექტორს (მისამარ- თი: თბილისი 1062, ი. ჭავჭავაძის გამზირი №82; ვებგვერდი: www.btu.edu.ge; ელ. ფოსტა: info@btu.edu.ge, საკონტ. ტელ.: (+99532) 2195015; სამუშაო დღეები: ყოველდღე, შაბათ- კვირის გარდა; სამუშაო საათები: 10:00-18:00 სთ; პასუხისმგებელი პირი: ნათია მიქანაძე;</p> <p>ბტუ-ში წარსადგენია შემდეგი დოკუმენტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობა/ID ბარათი) დედანი და ასლი (უცხო ქვეყნის მოქალაქე – პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანის დედანი); • 2 ფოტოსურათი 3x4 და ელ. ვერსია (CD/DVD დისკზე); • სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულმა პირებმა, საქართველოს მოქალაქეებმა - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი და ასლი); • უცხო ქვეყნის მიერ აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი; • უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი რომელიც შეიცავს ინფორმაციას: სასწავლო კურსების ჩამონათვალი, კრედიტების რაოდენობა, შეფასების სისტემა, სწავლების საფეხური და სხვა (ასეთი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში); • სამოტივაციო წერილი (ბტუ-ში სწავლის სურვილის დასაბუთება)
II	არაუგვიანეს 14.02.2023	წარმოსადგენი დოკუმენტების შესწავლა
III	15.02.2023	კანდიდატებთან გასაუბრება
IV	16.02.2023	გასაუბრების შედეგების გაცნობა
V	17.02.2023	გასაუბრების შედეგების გასაჩივრება
VI	20.02.2023	საბოლოო შედეგების გაცნობა

დამატებითი ინფორმაცია

- საკონკურსო კომისიის მიერ შეფასებას ექვემდებარება სამოტივაციო წერილი და გასაუბრება. შეფასების კომპონენტებია:
 - მოტივაციის ჩამოყალიბება-დასაბუთება;
 - ინფორმაციის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოცემის უნარი;
 - არგუმენტირებულად და სტრუქტურირებულად მსჯელობის და ძირითად ასპექტებზე ყურადღების გამახვილების უნარი;
 - დისკუსიაში მონაწილეობის, მკაფიოდ ჩამოყალიბებული არგუმენტირებული პასუხის გაცემის უნარი
- თითოეული კომპონენტი ფასდება ქულებით, საბოლოო ქულა წარმოადგენს გასაუბრების კომისიის წევრთა მიერ მინიჭებული ქულების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს. გასაუბრება დაძლეულად მიიჩნევა მაქსიმალური შესაძლო შეფასებიდან არანაკლებ 51%-ის მიღების შემთხვევაში (შეფასების ერთ-ერთ კომპონენტში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კომპონენტებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება);
- გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით თანაბარქულიანი კონკურსანტების შემთხვევაში, რომლებიც უკვე სწავლობენ უცხოეთის უსდ-ში, იქნება გათვალისწინებული გამშვებ უსდ-ებში მიღებული საშუალო შეწონილი ქულა (ყველა შეფასება შეფარდებული სასწავლო კურსების რაოდენობასთან);
- ბტუ-ში სწავლის გაგრძელების თანხმობას მიიღებენ პირები, რომლებმაც ვაკანტური ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით დააგროვეს მეტი შემაჯამებელი საკონკურსო ქულა;
- ბტუ ახდენ ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვას 01 წლის ვადაში რათა უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- პირი, რომლის მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1.2 დონის ფლობა.